ხელშეკრულება №41

ქ.ქუთაისი

28 იანვარის 2015 წელი

ერთის მხრივ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, ქალაქის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ნოდარ მიქიაშვილის სახით, (უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი-მერის მოვალეობის შემსრულებლის წერილი №01-340 22.01.2015წ.; მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3: ტელ: 24-10-24) (შემდგომში „შემსყიდველი“)

მეორეს მხრივ შ.პ.ს. „ავერსი–გეოფარმი", მისი დირექტორის გია ჩიგოგიძის სახით (მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №11; ტელ: 832 99 67 71) (შემდეგში „მიმწოდებელი")

ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ქ. ქუთაისის საკრებულოს 19.12.2014 წლის №59 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამით, ქ. ქუთაისში მცხოვრები ეპილეფსიით დაავადებულ პირთა (შემდგომში ბენეფიციარი) ანტიკონვულსანტებით (შემდგომში საქონელი) უზრუნველყოფა, მათ მიერ "მიმწოდებლისათვის" წარმოდგენილი ვაუჩერ(ებ)ისა და მასზე თან დართული დანართ(ებ)ის საფუძველზე.

1.2. საქონლის დასახელება და რაოდენობა განისაზღვრება ვაუჩერის დანართის შესაბამისად.

2. ვაუჩერის გამოყენების წესი

2.1 ვაუჩერი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული ფორმით (იხ. დანართი 1) შედგენილ დოკუმენტს. მასზე მითითებულია ბენეფიციარის სახელი, გვარი და პირადი ნომერი. ერთი ვაუჩერის ღირებულება 0-18 წლამდე შეადგენს 120 ლარს, ხოლო 18 წლის ზემოთ 60 ლარს და ძალაშია 2015 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

2.1.1. თითოეულ ბენეფიციარს ეძლევა ვაუჩერი, რომელსაც თან დაერთვება დანართი, სადაც მითითებული იქნება ფორმა NIV-100/ა-ის საფუძველზე სამი თვის ოდენობის მედიკამენტების (საქონლის) დასახელება და რაოდენობა ვაუჩერის ღირებულების ფარგლებში.

2.1.2. ზემოაღნიშნული ვადის (30.11.2015წ) შემდგომ წარმოდგენილი ვაუჩერი მიიჩნევა ვადაგასულად და არ ანაზღაურდება.

2.2. ბენეფიციარს აქვს უფლება მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი მხოლოდ ვაუჩერის ორიგინალის წარდგენის საფუძველზე და მხოლოდ ვაუჩერზე თანდართული დანართის შესაბამისად.

2.3. იმ შემთხვევაში, როდესაც შესაძენი პროდუქციის ღირებულება აღემატება ვაუჩერში მითითებულ ღირებულებას, „მიმწოდებელს" უფლება აქვს მოსთხოვოს ბენეფიციარს დასამატებელი თანხის ანაზღაურება. ბენეფიციარს უფლება აქვს დასამატებელი თანხა აანაზღაუროს როგორც ნაღდი ანგარიშსწორებით, ასევე საბანკო ბარათის გამოყენებითა თუ მხარეთათვის მისაღები სხვა ანგარიშსწორების მექანიზმით.

2.4. იმ შემთხვევაში, როდესაც ბენეფიციარს სურს ვაუჩერში მითითებულ ღირებულებაზე ნაკლები ღირებულების საქონლის შეძენა, ამ შემთხვევაში „მიმწოდებელი" ვალდებულია გადასცეს მოთხოვნილი საქონელი, ხოლო ვაუჩერი დარჩება „მიმწოდებელთან" და ბენეფიციარი ვეღარ შეძლებს დარჩენილი თანხის შემდგომში გამოყენებას. ანაზღაურება კი შემსყიდველის მიერ მოხდება ფაქტობრივად გაცემული საქონლის ღირებულების ოდენობით.

2.5. ბენეფიციარი ვაუჩერით მიიღებს მხოლოდ ანტიკონვულსანტებს და ვაუჩერის სრულად აუთვისებლობის შემთხვევაში მისი შევსება ვერ მოხდება სხვა ჯგუფის მედიკამენტებით.

2.6. „მიმწოდებელი" ვალდებულია შეამოწმოს ვაუჩერის ნამდვილობა.

2.7. იმ შემთხვევაში, თუ ვაუჩერის ნამდვილობა გამოიწვევს საფუძვლიან ეჭვს, მაშინ „მიმწოდებელი" უფლებამოსილია არ გასცეს საქონელი და დაუბრუნოს ვაუჩერი ბენეფიციარს.

2.8."მიმწოდებელი" გასცემს წინამდებარე ხელშეკრულების 1–ლი მუხლით გათვალისწინებულ საქონელს, წარმოდგენილი ვაუჩერისა და მასზე დართული დანართის საფუძველზე.

2.9. ვაუჩერის ნამდვილობის დადასტურების შემდგომ ბენეფიციარი შეიძენს მისთვის სასურველი ღირებულების საქონელს (ვაუჩერში მითითებული ღირებულების ფარგლებში).

2.10. ვაუჩერის გახარჯვის (ვაუჩერის დანართით მითითებული საქონლის ბენეფიციარისათვის მიწოდების შემდგომ) შემდეგ „მიმწოდებელი“ იტოვებს ვაუჩერის ორიგინალს დანართთან ერთად.

3.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1.„შემსყიდველის" მხრიდან ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახური "მიმწოდებლის" მიერ მისაწოდებელ ან უკვე მიწოდებულ საქონელზე კონტროლს განახორციელებს პერიოდულად, თანახმად საქართველოში მოქმედი ნორმების, სტანდარტებისა და წესებისა, რომელთა დარღვევის შემთხვევაში გააჩნია უფლება შეაჩეროს საქონლის მიწოდება.

4. ანგარიშსწორება

4.1. „მიმწოდებლი“ ვალდებულია ყოველი მიმდინარე თვის 30 რიცხვამდე გაცემული საქონლის შესახებ ანგარიში წარუდგენოს „შემსყიდველს“ მომდევნო თვის 10 რიცხვამდე.
4.2. „მიმწოდებლის" წერილობით მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს:
4.2.1 ფაქტიურად მიღებული და დამოწმებული ვაუჩერი დანართთან ერთად;
4.2.2. ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად გამოწერილი გაყიდვის ფაქტურები;
4.2.3. ინვოისი (თვის განმავლობაში ბენეფიციარისათვის მიწოდებული საქონლის ჩამონათვალით);
4..3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო
4.4 ანგარიშსწორების განხორციელდება შესაბამისი დოკუმენტების (4.2 პუნქტი) წარდგენიდან და მხარეთა შორის მიღება–ჩაბარების გაფორმებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღეში, ხოლო დეკემბერში, 31 დეკემბრის ჩათვლით.

5. საქონლის მიწოდების ვადები და პირობები

5.1 „მიმწოდებელი“ იღებს ვალდებულებას, რომ ფაქტიურად საქონლის მიწოდებას მოახდენს ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან **2015 წლის 30 ნოემბრის** ჩათვლით.

5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდება მოხდება ბენეფიციარებზე ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახურის მიერ გაცემული, დამოწმებული ვაუჩერისა და მასზე თანდართული დანართის საფუძველზე, რომელშიც აღნიშნული იქნება მისაწოდებელი საქონლის ჩამონათვალი და რაოდენობა.
5.3. „მიმწოდებლი“ იღებს ვალდებულებას დამოწმებული ვაუჩერის და მასზე დართული დანართის (რომლის ღირებულება იქნება 60 ან 120 ლარი) შესაბამისი საქონელი გასცეს ბენეფიციარებზე ერთჯერადად, სრულად ქალაქ ქუთაისში არსებული შ.პ.ს. „ავერსი–გეოფარმი"–ს აფთიაქებში, სადაც მიმწოდებელსა და ბენეფიციარს შორის გაყიდვის ფაქტურის გაფორმების მომენტიდან ბენეფიციარზე გადადის საკუთრების უფლება საქონელზე, რის შემდეგაც ბენეფიციარი პასუხისმგებელია საქონლის შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, განადგურებასა და რაიმე სახის ზიანზე.

5.4. „შემსყიდველი“ ვალდებულია შეუფერხებლად აანაზღაუროს საქონლის ღირებულება შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული დამოწმებული ვაუჩერებისა და მასზე დართული დანართების, ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტების თანახმად.
5.5. მიმწოდებლის მიერ ყოველთვიური ანგარიშის წარდგენის შემდეგ მხარეებს შორის ფორმდება მიღება–ჩაბარების აქტი, რომელიც დადასტურდება „შემსყიდველისა“ და „მიმწოდებლის“ მიერ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6. ფასები

6.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება მოხდება მიწოდების მომენტისთვის მიმწოდებლის შპს „ავერსი–გეოფარმის“ სააფთიაქო ქსელში არსებული საცალო სარეალიზაციო ფასების შესაბამისად.
6.2. ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, თუკი ამ ცვლილების შედეგად შემსყიდველისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი:
6.2.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში დადგინდა, რომ მასში გათვალისწინებული პირობები არ აკმაყოფილებს თანამედროვე პროგრესულ მოთხოვნებს ან/და ორივე მხარემ

გამოთქვა თანხმობა და სურვილი შეიტანონ სათანადო შესწორება ხელშეკრულების პირობებში.
6.2.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში.
6.2.3 დაუძლეველი ძალის პირობებში.

7 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1. დაუძლეველი ძალის გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:
7.1.1 ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში 5 000.0 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით.
7.2 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებლის დაჯარიმების შემთხვევეაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში (ჯარიმის თანხა გამოქვითოს გადასახდელი თანხიდან), რის შესახებაც წერილობით აცნობებს მიმწოდებელს.
7.3. „შემსყიდველის" მიერ მე–4 მუხლით განსაზრვრული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0.1%–ის ოდენობით. შემსყიდველის მიერ ერთ თვეზე მეტ ხნით თანხის აუნაზღაურებლობის შემთხვევაში, „მიმწოდებელი" იტოვებს უფლებას შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, რაც არ ათავისუფლებს „შემსყიდველს" არსებული თანხის გადახდისაგან.

8. მხარეთა უფლება მოვალეობები

8.1 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია:
- ხელშეკრულების მოქმედების ეტაპზე ნებისმიერ დროს მოითხოვოს ,,მიმწოდებლისგან" მისთვის საჭირო ინფორმაცია.
8.2 ,,შემსყიდველი" ვალდებულია:
– უზრუნველყოს ,,მიმწოდებლი"–ს მიერ მიწოდებული საქონლის ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.
8.3 ,,მიმწოდებელი" უფლებამოსილია:
– მოსთხოვოს ,,შემსყიდველს" მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
8.4 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია:
– დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები და სხვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით დაუძლეველი ძალის დასარულებამდე.
10.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება დამატებითი კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

10.3 მხარე, რომელსაც შეექმნა დაუძლეველი ძალის გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს მეორე მხარეს ამის შესახებ.

11. შეტყობინება

11.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენის ვალდებულებით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე;

11.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

12. გადასახადები და დაბეგვრა

12.1 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა შესაბამისი გადასახდელების გადახდაზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს და განისაზღვრება ხელშეკრულების დადებიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

13.2 ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი მიმწოდებელთან და 2 (ორი) პირი შემსყიდველთან.

14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია
მის: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3
მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ქ. თბილისი „სახელმწიფო ხაზინა"
ბ/კოდი: TRESGE22

ს/კოდი: 212721170

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერის პირველი მოადგილე

ნოდარ მიქიაშვილი

მიმწოდებელი:
შ.პ.ს. „ავერსი–გეოფარმი"
მის: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №11
ს.ს „საქართველოს ბანკი"

ბ/კოდი: **BAGAGE22**
ა/ა GE50BG0000000866022700
ს/კ **203834075**

შ.პ.ს. „ავერსი–გეოფარმის"
დირექტორი

გია ჩიგოგიძე

დანართი #1
2015 წლის 28 იანვრის #41 ხელშეკრულების თაობაზე

ქ.ქუთაისის მერიის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სამსახური

ქ.ქუთაისში მცხოვრებ ეპილეფსიით დაავადებულ პირთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფის პროგრამა

გვარი

სახელი

პირადი N

მისამართი

მედიკამენტების ღირებულება № რრიო

გაცემის თარიღი

სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი _____ /თ.ნადირაძე/

ბ.ა.

ქ.ქუთაისის მერიის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სამსახური

ქ.ქუთაისში მცხოვრებ ეპილეფსიით დაავადებულ პირთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფის პროგრამა

გვარი

სახელი

პირადი N

მისამართი

მედიკამენტების ღირებულება № რრიო

გაცემის თარიღი

სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი _____ /თ.ნადირაძე/

ბ.ა.

<u>დანართი</u>

გასაცემი მედიკამენტების ჩამონათვალი

N	ანტიკოლვუსანტის დასახელება	დოზა	რაოდ.
1			

<u>დანართი</u>

გასაცემი მედიკამენტების ჩამონათვალი

N	ანტიკოლვუსანტის დასახელება	დოზა	რაოდ.
1			

სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი _____ /თ.ნადირაძე/

ბ.ა.

შემსყიდველი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია
ს/კოდი: **212721170**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

ნოდარ მიქიაშვილი

მიმწოდებელი:

შ.პ.ს. „ავერსი–გეოფარმი"
ს/კ **203834075**

შ.პ.ს. „ავერსი–გეოფარმის" დირექტორი

გია ჩიგოგიძე